სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 ივნისი, 2024 წ.

ბრძანება N 01-02/74

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საქართველოს ბანკის ბსუ-ს სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,სს საქართველოს ბანკთან ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის დაფარვის სპონსორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 10 აგვისტოს №07-01/34 გადაწყვეტილებისა და სტუდენტების დაფინანსების შესახებ ბსუ-სა და სს საქართველოს ბანკს შორის გაფორმებული 2023 წლის 31 აგვისტოს NM8952 ხელშეკრულების, ,,საქართველოს ბანკის სტიპენდიის დაწესების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების და ,,ბსუ-ს სტუდენტებისათვის **საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის** დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის N01-02/212 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **გამოცხადდეს კონკურსი 2023-2024** სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრისათვის** ბსუ-ს **5 სტუდენტის მიერ საქართველოს ბანკის სტიპენდიის მოსაპოვებლად** (1 სემესტრის სწავლის საფასურის - 1125 ლარის ოდენობით დაფინანსება).
2. განისაზღვროს კონკურსის შემდეგი ვადები:
   ა) საკონკურსო **დოკუმენტაციის წარმოდგენა** - 2024 წლის **06 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით;**
   ბ) სტიპენდიანტების შერჩევა - 2024 წლის 14- 17 ივნისი;
   გ) სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა საკონკურსო კომისიის ოქმის საფუძველზე - არაუგვიანეს 2024 წლის 20 ივნისი.
3. საქართველოს ბანკის **სტიპენდია შეიძლება დაენიშნოს ბსუ-ს სტუდენტს,** რომელიც **აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:**
   ა) არის ბსუ-ს საბაკალავრო ან მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ან დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი** (გარდა პირველი და დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტისა);
   ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის მიხედვით სასწავლო კურსების შეფასებები - მიღებული ქულები, ,,საშუალო შეწონილი'' ფორმულით - **აქვს 91 ან მეტი და** ამასთან, **წინა სემესტრში ათვისებული აქვს არანაკლებ 25 კრედიტი;**
   გ) საქართველოს ბანკის სტიპენდიის მიღების პერიოდში (მიმდინარე სემესტრში) არ უნდა იღებდეს სხვა სტიპენდიას ბსუ-ში, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა;

დ) არ ფლობს 100%-იან სასწავლო გრანტს ან მისი სწავლის საფასური 100%-ით არ ფინანსდება რომელიმე სხვა წყაროდან;

ე) **სასურველია** ჰქონდეს სამეცნიერო აქტივობა (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

4. კონკურსანტებმა ბსუ-ს **სტუდენტური პორტალის საშუალებით** („წერილი კანცელარიას", რექტორის სახელზე) **უნდა წარმოადგინონ:**

ა) <u>სტუდენტის განცხადება</u> კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად);

ბ) <u>სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;</u>

გ) <u>ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ</u> (სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში „საშუალო შეწონილი" ფურმულით მიღებული **91 ქულის ან მეტის** მითითებით);

დ) <u>სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პუბლიკაციის</u> დედანი ან დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში; საკონკურსო კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს დოკუმენტის დედანის წარმოდგენა).

5. **საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება** (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსნება კონკურსიდან) **შემდეგ შემთხვევებში:**

ა) თუკი წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.) ან არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება ბსუ-ში არსებული დოკუმენტაციით/ინფორმაციით/მონაცემებით;

ბ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი ან პირველი, ბოლო ან დამატებითი სასწავლო სემესტრის სტუდენტია;

გ) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონეა ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების მოთხოვნები (მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია);

დ) თუკი ფლობს 100%-იან სასწავლო გრანტს ან მისი სწავლის საფასური 100%-ით დაფინანსებულია რომელიმე სხვა წყაროდან;

ე) საქართველოს ბანკის სტიპენდიის მიღების პერიოდში (მიმდინარე სემესტრში) კონკურსანტი იღებს (მიიღებს) სხვა სტიპენდიას ბსუ-ში (გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა).

6. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს სტუდენტებს ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
7. დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემადგენლობა წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის შესაბამისად.**
8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ვებგვერდზე (ველში „კონკურსები", „ფაკულტეტის სიახლეები").
9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის

დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.~

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საქართველოს ბანკის ბსუ-ს სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 05 ივნისის N 01-02/74 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს სტუდენტის განაცხადი

(საქართველოს ბანკის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

1.	ბსუ-ს სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	ბსუ-ს ფაკულტეტი	
3.	სწავლების საფეხური	
4.	საგანმანათლებლო პროგრამა	
5.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	
6.	წინა სემესტრში ათვისებული კრედიტების რაოდენობა	
7.	ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი 2023-2024 სასწ. წლის გაზაფხულის სემესტრში	○ აქტიური ○ შეჩერებული
8.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი/ რეგისტრაციის ადგილი (მისამართი):	
9.	საკონტაქტო ტელეფონი	
10.	ელექტრონული ფოსტა	
	სხვა ინფორმაცია - აპლიკანტის შეხედულებით	

სამეცნიერო ნაშრომის (პუბლიკაციის) ჩამონათვალი:

№	სამეცნიერო ნაშრომის /პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა და გამოცემის წელი	პუბლიკაციის სახე (სტატია და სხვა)	თანაავტორი/ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში
1					
2					

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე კონკურსანტის აქტივობა	ღონისძიების ჩატარების ადგილი

			(მოხსენების სათაური და სხვა)	
1				
2				

დამატებითი ინფორმაცია (კონკურსანტის შეხედულებით): ----------

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ნამდვილია და ვკისრულობ პასუხისმგებლობას მათ სისწორეზე, ამასთანავე, **თანხმობას ვაცხადებ:**

ა) ჩემი პერსონალური მონაცემები ბსუ-მ დაამუშაოს (განიხილოს, გამოითხოვოს, გადასცეს მე-3 პირს - საქართველოს ბანკს, **განთავსდეს/გასაჯაროვდეს ინფორმაცია** ბსუ-ს ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში ან/და სხვა საინფორმაციო რესურსებზე, კონკურსის შედეგად გამოვლენილი სტიპენდიანტების თაობაზე);
ბ) ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა;
გ) შევასრულო **საქართველოს ბანკის** სტიპენდიის დანიშვნისა და მიღების წესის მოთხოვნები.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება საქართველოს ბანკის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

(განმცხადებლის ხელმოწერა)

_____

განცხადების შევსების
და წარდგენის თარიღი:

,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საქართველოს ბანკის ბსუ-ს სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 05 ივნისის N01-02/74 ბრძანების

დანართი N2

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში გამოცხადებული საქართველოს ბანკის ბსუ-ს სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსის

საკონკურსო კომისია

1. **ანზორ ბერიძე** - რექტორის მოადგილე, **კომისიის თავმჯდომარე;**
2. **მერაბ დიასამიძე** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, **თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **ლევან ტარიელაძე** - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;
4. **სალომე ჯინჭარაძე** - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **(კომისიის მდივანი);**
5. **ამირან შარაძე** - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი;
6. **გიორგი დიასამიძე** - იურიდიული დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი.